საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *თინა ვამშყმაძის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**19**	**20**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**18**	**20**
წერის უნარი	**18**	**20**
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**15**	**15**
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	**14**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**4**	**5**
პროფესიული აქტივობები	**3**	**5**
ქულათა ჯამი	**91**	**100**

სახელი, გვარი: ნინო ქადაგიძე

თარიღი: 28.05.2021 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ნინო ქადაგიძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 გადაწყვეტილებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - თინა ვაშაყმაძის

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. **პროცედურის შესახებ:**

1.1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 9 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

1.2. საბჭოს 2020 წლის 5 ნოემბრის №1/141 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა 50 პირი, მათ შორის - თინა ვაშაყმაძე.

1.3. საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - ორგანული კანონი) 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია პროცედურაში მონაწილე კანდიდატთა შესახებ, რომელიც გასაცნობად წარმოგვედგინა საბჭოს წევრებს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი წესით. აღნიშნულ ინფორმაციას გავეცანი დეტალურად.

1.4. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ კანდიდატთა შეფასების წესი განსაზღვრულია ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით;

1.4. კანდიდატი შევაფასე ორგანული კანონის 36^3 მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 5 (ხუთი) მახასიათებლის მიხედვით და, ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-15 პუნქტის საფუძველზე, ამ მახასიათებელთა ანალიზისა და შეჯერების საფუძველზე, შევადგინე საბოლოო დასკვნა კანდიდატის კეთილსინდისიერების შესახებ. ყოველი მახასიათებლის მიხედვით შეფასება დავაფუძნე კანონმდებლობით განსაზღვრული ცალკეული კომპონენტების ანალიზსა და შეჯერებას, შემდეგნაირად: თუ კანდიდატი ყველა ამ კომპონენტის მიმართ დადებითად შეფასდა, გავაკეთე დასკვნა, რომ კანდიდატი ,,სრულად აკმაყოფილებს" მახასიათებელს; თუ კომპონენტებიდან არაუმეტეს ორის მიმართ შეფასება უარყოფითი იყო, გავაკეთე დასკვნა, რომ კანდიდატი ,,აკმაყოფილებს" მახასიათებელს; ხოლო თუ სამი ან მეტი კომპონენტის შეფასება აღმოჩნდა უარყოფითი, მივიჩნიე, რომ კანდიდატი ,,არ აკმაყოფილებს" მახასიათებელს.

1.5. კანდიდატი შევაფასე ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კომპეტენტურობის კრიტერიუმის 7 (შვიდი) მახასიათებლის მიხედვით, თითოეული მახასიათებლისათვის ორგანული კანონის 36⁴ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული ქულების მინიჭების გზით.

I. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ

სახელი, გვარი: **თინა ვაშაყმაძე**

ასაკი: **36 წლის**

დაბადების თარიღი: **8 სექტემბერი, 1984წ.**

განათლება: **ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - უმაღლესი იურიდიული, მაგისტრთან გათანაბრებული**

სპეციალობით მუშაობის გამოცდილება: **12 წელი**

სამუშაო ადგილი: **თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე**

II. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით

კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით მოსამართლეობის კანდიდატის, თინა ვაშაყმაძის შეფასებისას გავითვალისწინე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი მახასიათებლები:

1. *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;*
2. *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;*
3. *პიროვნული და პროფესიული ქცევა;*
4. *პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;*
5. *ფინანსური ვალდებულება.*

1. პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებელი

- კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება პირის, როგორც მოსამართლისა და მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, სიმართლისმოყვარეობა, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად:

- რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. გამოარჩევენ კანდიდატის შრომისმოყვარეობას, სამართლიანობას, მიუკერძოებლობას, კეთილსინდისიერებას, თავმდაბლობას და ა.შ.

- გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას იცნობენ კარგად; რესპოდენტების აზრით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპოდენტები კანდიდატს აფასებენ ძალიან კარგად.

- თინა ვაშაყმაძეს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება. აქვს მიმდინარე სესხი და დადებითი საკრედიტო ისტორია. წარმოდგენილი ინფორმაციით არ იკვეთება კანდიდატის სხვა შეუსრულებელი ვალდებულების არსებობის ფაქტი. დეკლარაციის შევსებისას კანონის მოთხოვნის დარღვევის ფაქტი გამოვლენილი არ არის.

- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტების თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2017 წლის ნოემბრიდან 2020 წლის ნოემბრის ჩათვლით, ფიქსირდება შემდეგი ადმინისტრაციული სამართალდარღვევები: ასკ-ის 125-ე მუხლის მე-6 ნაწილი („მოძრაობის წესების დარღვევა, რაც აფერხებს საგზაო მოძრაობას ან საშიშროებას უქმნის მოძრაობის უსაფრთხოებას", ჯარიმა - 20 ლარი; 3 შემთხვევა; ჯარიმები გადახდილია დროულად (ვიდეოჯარიმა)/შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი); ასკ-ის 125-ე მუხლის 6^2 ნაწილი („გზის სავალ ნაწილზე სატრანსპორტო საშუალებათა განლაგების, მოძრაობის დაწყების ან/და მანევრირების წესების დარღვევა"; ჯარიმა - 50 ლარი, 2 შემთხვევა; ჯარიმები გადახდილია დროულად (ვიდეოჯარიმა) / შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი); ასკ-ის 125-ე მუხლის პირველი ნაწილი („სიჩქარის გადაჭარბება"; ჯარიმა - 50 ლარი, 1 შემთხვევა; ჯარიმა გადახდილია დროულად (ვიდეოჯარიმა) / შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი); ასკ-ის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილი („ამკრძალავი ნიშნის „გაჩერება აკრძალულია" და „დგომა აკრძალულია" მოთხოვნის დაუცველობა, აგრეთვე დგომა-გაჩერების წესებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნის დაუცველობა"; გაფრთხილება; შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი); ასკ-ის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილი („ამკრძალავი ნიშნის „გაჩერება აკრძალულია" და „დგომა აკრძალულია" მოთხოვნის დაუცველობა, აგრეთვე დგომა-გაჩერების წესებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნის დაუცველობა"; ჯარიმა - 10 ლარი, 1 შემთხვევა; ჯარიმა გადახდილია დროულად/ ქ. თბილისის სატრანსპორტო კომპანია).

დაკისრებული ჯარიმების მიუხედავად, მათი დროულად გადახდის ფაქტი და მოძიებული ინფორმაცია **მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.**

<u>2. დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას</u> - გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული

სიმყარე და შეუვალობა, პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა, სამართლიანობა და სხვა.;

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი, შემომწირველი ან/და მხარდამჭერი. ამასთან, გასაუბრების შედეგად, კანდიდატს არ გამოუვლენია რაიმე სახის ტენდენციური დამოკიდებულება ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ.

გასაუბრების დროს თინა ვაშაყმაძე აზრს გამოხატავს ღიად, გახსნილად, მისი ხედვები მაძლევს საფუძველს დასკვნისათვის, რომ არის ზეგავლენისაგან თავისუფალი და მედეგი. შესაბამისად, **კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატს ვაფასებ დადებითად.**

<u>3. პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას</u> - გაითვალისწინება მის მიერ სამოსამართლო ეთიკის დაცვა, მისი კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, ქცევა მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობისას, მხარედ მისი მონაწილეობით სასამართლოში წარმართული დავები, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდებების არსებობა და სხვა.

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურისა და ეთიკის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, თინა ვაშაყმაძის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა.

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის ინფორმაციით, სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, თინა ვაშაყმაძე იყო მოპასუხე ერთ სამოქალაქო საქმეში (N2/29310-18, დავის საგანი - ზიანის ანაზღაურება). თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 11 ოქტომბრის განჩინებით მოსარჩელეს სარჩელის მიღებაზე ეთქვა უარი).

- საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, დაზარალებულად ცნობასთან დაკავშირებით, თინა ვაშაყმაძის მიმართ ინფორმაცია არ მოიპოვება.

გასაუბრების ეტაპზე კანდიდატი გამოირჩეოდა სიმშვიდით, თავშეკავებულობით, იყო მაქსიმალურად კორექტული, მისი ქცევა მკვეთრად იყო მოქცეული ეთიკის ნორმებში, აქვს საკუთარი ქცევის მართვის უნარი. ის იცავს ქცევის სტანდარტს, **რაც მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.**

<u>4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას</u> - მხედველობაში მიიღება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი და სხვა.

მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატი სარგებლობს კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით კოლეგებს შორის. გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატს ახასიათებენ ძალიან კარგად, ისინი ყურადღებას ამახვილებენ კანდიდატის სამართლიანობაზე, კეთილსინდისიერებაზე, კომპეტენტურობაზე, კოლეგიალურობაზე, პრინციპულობაზე და ა.შ., **რაც მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.**

<u>5. ფინანსური ვალდებულებების მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას</u> გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ.

ფინანსური ვალდებულებების შემოწმების საფუძველზე, არ გამოვლინდა ის შესაძლო საფრთხეები, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კანდიდატის პატიოსნება, რეპუტაცია და ავტორიტეტი. ამდენად, ამავე მახასიათებელში კანდიდატი უნდა შეფასდეს დადებითად.

ზემოაღნიშნული მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

<u>III. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით</u>

<u>**კომპეტენტურობის კრიტერიუმით**</u> მოსამართლეობის კანდიდატის, თინა ვაშაყმაძის შეფასებისას გავითვალისწინე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები:

1. *სამართლის ნორმების ცოდნა;*
2. *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;*
3. *წერის უნარი;*
4. *ზეპირი კომუნიკაციის უნარი;*
5. *პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;*
6. *აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;*
7. *პროფესიული აქტივობა.*

1. სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებელი

ჩემ მიერ შეფასებულ იქნა თინა ვაშაყმაძის მონაწილეობით განხილული საქმეები, მათ შორის:

- თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილება, საქმე N2/6869-18 (დავის საგანი - დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლება).
- თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე N2/15894-18 (დავის საგანი - პარტნიორთა კრების ოქმის გაუქმება (ბათილობა), თანამდებობაზე აღდგენა, სახელფასო განაცდურის

ანაზღაურება).

ასევე გავაანალიზე გასაუბრებაზე დასმულ შეკითხვებზე კანდიდატის მიერ გაცემული პასუხები და მიმაჩნია, რომ თინა ვაშაყმაძე ხასიათდება მაღალი პროფესიონალიზმით, აქვს მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის ღრმა ცოდნა. იგი კარგად იცნობს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას, იცნობს და აქტიურად იყენებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტს.

გასაუბრების ეტაპზე, კანდიდატმა განსაკუთრებული სიღრმისეული ცოდნა გამოავლინა სამოქალაქო სამართალში, კანდიდატის სამართლებრივი დასაბუთების უნარი ნათლად გამოვლინდა მის მიერ რამდენიმე საკვანძო საკითხის განხილვისას, რაზეც მეტყველებს მისი მხრიდან განვითარებული კონსტრუქციული მსჯელობა სამოქალაქო სამართლის აქტუალურ საკითხებთან მიმართებით, რომლის ფარგლებშიც მან თანმიმდევრულად და სრულყოფილად განიხილა ფიდუციური ვალდებულებების ასპექტები, დერივაციული სარჩელის თავისებურებები, ისაუბრა „გამჭოლ პასუხისმგებლობაზე". დასაბუთებული და არგუმენტირებული იყო მისი პასუხები კონკრეტულ შეთავაზებულ კაზუსებზე. კანდიდატმა ამომწურავად იმსჯელა სამართლის სისტემებზე, უშუალო დემოკრატიის ფორმებზე. საინტერესო და სიღრმისეული იყო მისი მსჯელობა „ღირსებასა" და „სიცოცხლის უფლებაზე".

კანდიდატმა ფართოდ ისაუბრა და საინტერესოდ მოახდინა სიცოცხლის უფლებისა და ღირსების უფლების შეპირისპირება, სწორად და სიღრმისეულად ჩამოაყალიბა ევთანაზიის საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტები და პრაქტიკა. კანდიდატმა ასევე ისაუბრა უფლებაზე „იყო დავიწყებული", რასაც საფუძვლად დაუდო საერთაშორისო გამოცდილება, ისაუბრა შშმ პირების უფლებებზე, გონივრული მისადაგების პრინციპზე. გასაუბრება ადასტურებს, რომ კანდიდატს აქვს ფართო მასშტაბური ცოდნა, მისი ცოდნა არ შემოიფარგლება ვიწრო სპეციალიზაციით. ყველა საკითხზე მისი პასუხი იყო სიღრმისეულად დასაბუთებული.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 19 ქულით.

2. სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებელი

თინა ვაშაყმაძეს გააჩნია მოსამართლედ მუშაობის 3 წლიანი გამოცდილება, კანდიდატს აქვს სამართლებრივი ნორმების კარგი ცოდნა, შესაბამისად, ის გადაწყვეტილებებს ძირითადად ასაბუთებს მაღალი სტანდარტის დაცვით, გადაწყვეტილებებში განვითარებულია ლოგიკური და მწყობრი მსჯელობა. გადაწყვეტილებები ემყარება მხარეთა მიერ წარმოდგენილ მოსაზრებებს, რაც ადასტურებს, რომ მოსამართლემ შეისწავლა მისთვის წარდგენილი ყველა ძირითადი საკითხი.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 18 ქულით.

3. წერის უნარის მახასიათებელი

კანდიდატის წერის უნარს ვაფასებ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზის საფუძველზე და ვთვლი, რომ გადაწყვეტილებები არის დასაბუთებული, გადაწყვეტილებებში წარმოდგენილი არგუმენტები არის თანმიმდევრული, ნათელი, არაორაზროვანი. კანდიდატის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში მარტივად აღქმადია დასაბუთების განვითარების ჯაჭვი, რაც მიუთითებს წერის კულტურაზე. გადაწყვეტილებებში ძირითადად დაცულია პუნქტუაციისა და მართლწერის წესები.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - **18** ქულით.

4. ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებელი

თინა ვაშაყმაძე აზრს აყალიბებს ნათლად და გასაგებად, გააჩნია მოსმენის მაღალი კულტურა, საუბრობს მშვიდად, ღიად და გახსნილად.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - **15** ქულით.

5. პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევის მახასიათებელი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2017 წლის 1 ნოემბრიდან - 2020 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდში, თინა ვაშაყმაძის მიერ განხილულ საქმეთა მაჩვენებელი შემდეგნაირია:

- საქმის განხილვის საპროცესო ვადების დაცვა: ვადის დაცვით 93,1%; ვადის დარღვევით 6,9%.
- გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა: ვადის დაცვით 100%.
- გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობა: უცვლელი 88,5%; შეცვლილი 11,5%.
- საანგარიშო პერიოდში (975 დღე) მოსამართლეს დასრულებული აქვს 660 საქმე, დღეში საშუალოდ 0,7 საქმემდე.

აღნიშნული ინფორმაცია ადასტურებს, რომ კანდიდატი ძირითადად სწორად ახორციელებს საქმეთა ნაკადის მართვას, თუმცა საქმეთა სტაბილურობის მაჩვენებელი არ მაძლევს მისი უმაღლესი ქულით შეფასების შესაძლებლობას.

მხარეების ან/და პროცესის მონაწილეთა მიმართ კანდიდატის მხრიდან არაკორექტული ან უდიერი ქცევა გამოვლენილი არ არის.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 14 ქულით.

6. აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებელი

წარმოდგენილი ინფორმაციით დასტურდება, რომ მიუხედავად საქმეთა სიმრავლისა, კანდიდატი აქტიურად ესწრება სხვადასხვა ტრენინგებს და სასწავლო კურსებს, აქვს ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, ორიენტირებულია თვითგანვითარებაზე. კანდიდატი 2012 წლის 19 ოქტომბრიდან არის იურიდიული კომპანია „Hall, Booth, Smith P.C"-ისა და ატლანტის (ჯორჯიას შტატი, აშშ) სამართლებრივი საზოგადოების საპატიო წევრი;

თ. ვაშაყმაძემ 2012 წელს გაიმარჯვა „American Councils"-ის მიერ გამოცხადებულ კონკურსში და მონაწილეობდა საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოების მიერ ადმინისტრირებულ პროგრამაში „Open World" ამერიკის შეერთებულ შტატებში - ვაშინგტონსა და ატლანტაში იურიდიულ სფეროში ამერიკული გამოცდილების მისაღებად.

კანდიდატს აკადემიური მიღწევები არ აქვს.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 4 ქულით.

7. პროფესიული აქტივობის მახასიათებელი

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით მონაწილეობს არაერთ შეხვედრასა თუ დისკუსიაში.

კანდიდატს სამეცნიერო ნაშრომები არ აქვს და არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 3 ქულით.

ზემოაღნიშნული მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით კანდიდატს ჯამში ვაფასებ - 91 ქულით.

სახელი, გვარი: ნინო ქადაგიძე

თარიღი : 28.05.2021 წ.